



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 95

**ქ. გარდაბანი**

31/08/2022

95-06-4-202208311539



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარის უფლებით გადაცემის,  
საიჯარო ქირის და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს, ბიჯის  
ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 26 ივლისის №18-182220792 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

1. მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, დანართი 1-ში მითითებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადებაზე.

2. დანართი 1-ში მითითებული უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ დადგენილი ფასების შესაბამისად, ხოლო საიჯარო ვადა განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) წლით.

3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს საიჯარო ქონების ყოველწლიური საიჯარო საფასურის 5%-ით, ხოლო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საიჯარო საფასურის 5 %-ით.

## მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

## მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.  
მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

